“ვიქტორინა 2014–2015”

ფინალი

2015 წლის 16 მაისს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა ‘’ვიქტორინა 2014–2015’’ ფინალური ტური X-XII კლასის მოსწავლეთათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ნახევარფინალურ ტურში გამარჯვებულმა საქართველოს საჯარო და კერძო სკოლის 9 გუნდმა. მოსწავლეებმა პასუხი გასცეს 18 შეკითხვას. აქედან 3–3 შეკითხვა იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია), ხოლო 3 შეკითხვა – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მევნიერებათა ფაკულტეტის შესახებ. გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად გაიმართა ბლიცტური.

ვიქტორინის შედეგები მონაწილეებს და მათ გულშემატკივრებს გააცნო თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა.

გაიმარჯვა ქ. ქუთაისის 29–საჯარო სკოლის გუნდმა ‘’ევრიკა’’ შემდეგი შემადგენლობით: გიორგი მემშვილდიშვილი (გუნდის კაპიტანი), თამთა შეყრილაძე, გვანცა ცერცვაძე, ხატია თოდუა, თამარ კორძაძე.

თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა მიესალმა ვიქტორინის მონაწილეებს, უსურვა შემდგომი წარმატება და გამარჯვებულ გუნდს გადასცა სპეციალური თასი, ხოლო მონაწილე ყოველი გუნდის თითოეულ წევრს – სერტიფიკატი და სამახსოვრო სუვენირი.

ფინალური ტურის შედეგები

#	ქალაქი	სკოლა	გუნდი	ქულა
1	ქუთაისი	29–ე საჯარო სკოლა	ევრიკა	34
2	თბილისი	ბრიტანულ–ქართული აკადემია	ნატურალისტები	32
3	თბილისი	დემირელის სახ. კოლეჯი	სიგმა	31
4	რუსთავი	მე–4 საჯ. სკოლა	მეოთხე	30
5–6	თბილისი	კლასიკური გიმნაზია	ბინული	29
5–6	თბილისი	გიმნაზია შავნაბადა	შავნაბადა	29
7	გორი	გიმნაზია	სხივი	22
8	სურამი	მე–4 საჯარო სკოლა	პარლე	21
9	ჭიათურა	სოფ. ითხვისის 1–ლი საჯარო სკოლა	სახატო	12